



საქართველო

Deloitte Legal

19 აპრილი 2021

## საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

### იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

#### სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილება

2021 წლის 12 აპრილს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გამოაქვეყნა გადაწყვეტილება სოციალურ ქსელში ვიდეომასალის უნებართვოდ გასაჯაროებასთან დაკავშირებით.

ფიზიკური პირი, სოციალურ ქსელში საკუთარი არხის პოპულარიზაციისა და მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ვიდეოებს იღებდა და ონლაინ პლატფორმაზე - „Youtube.com“ ათავსებდა. ამ მიზნით ერთ-ერთ იუმორისტულ ვიდეოჩანაწერში გადაიღეს პირი წინასწარი ინფორმირების გარეშე. აღნიშნული ვიდეო ავტორმა „Youtube“-ის საკუთარ არხზე ატვირთა და, შემდეგ, ის სხვადასხვა სოციალურ ქსელში გავრცელდა. მონაწილე პირმა ავტორს ვიდეოდან მისი გამოსახულების შემცველი ეპიზოდის ამოჭრა მოსთხოვა. თუმცა მისი გამოსახულების სრულად ამოჭრის ნაცვლად, ვიდეოს ავტორმა მხოლოდ სახის გამოსახულება დაფარა.

სახელმწიფო ინსპექტორმა იმსჯელა აღნიშნულ ფაქტზე და დაადგინა, რომ ვიდეოში პირის პერსონაჟის სახით მონაწილეობა მისი ინფორმირებისა და ნების გარეშე, სადაც იგი წარმოჩენილია ისეთ სიტუაციაში ან/და მდგომარეობაში, რომელიც იწვევს სხვა პირთა გახალისებას ან/და მის შესახებ აყალიბებს საზოგადოებაში გარკვეულ წარმოდგენას შესაძლოა იწვევდეს ადამიანის

პირად ცხოვრებაში არასასურველ ჩარევას. შესაბამისად, ასეთი გზით მოპოვებული ვიდეოჩანაწერის გასაჯაროებამდე, შესაბამისი სცენის პერსონაჟს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ვიდეოჩანაწერის გამოყენების შესახებ და აღნიშნულის გასაჯაროებაზე მოპოვებულ უნდა იქნეს მისი თანხმობა.

## საქართველოს კანონი რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ

2021 წლის 1 აპრილიდან სრულად ამოქმედდა კანონი “რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ”, რომელიც აშკარა პრიორიტეტს ანიჭებს საწარმოს რეაბილიტაციას.

ახალი კანონით განისაზღვრა მთელი რიგი ცვლილებები, მათ შორის:

- გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის პროფესია და მისი სავალდებულო ჩართულობა ნებისმიერი კატეგორიის გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში;
- რეგულირებული შეთანხმება, რომლის თანახმად, მოვალეს უფლება აქვს, სასამართლოს არსებითი ჩარევის გარეშე, გამონახოს ფინანსური სირთულეების დაძლევის გზები და მიაღწიოს შეთანხმებას კრედიტორთან;
- მორატორიუმის ამოქმედების, გაუქმებისა და შეწყვეტის წესების ახლებური რეგულაცია, მორატორიუმის ღონისძიებათა დიფერენცირება კანონისმიერ და დისკრეციულ ღონისძიებებად;

- სპეციალური რეჟიმის სტატუსის მქონე მოვალის ცნება, რომლის მიხედვით, თუ მოვალის საქმიანობის შეჩერება/შეწყვეტა არსებით ზიანს მიაყენებს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესს, სასამართლოს შეუძლია ასეთ პირს მიანიჭოს სპეციალური რეჟიმის მქონე მოვალის სტატუსი. ასეთი მოვალის ქონების რეალიზაცია ხორციელდება ერთიანი კომპლექსის სახით ან სხვა იმგვარი ფორმით, რომელიც ხელს არ შეუშლის მისი საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნებას. დაუშვებელია შემძენის მიერ აღნიშნული მოვალის პროფილის შეცვლა;
- საერთაშორისო გადახდისუუნარობა, რომელიც არეგულირებს საერთაშორისო ელემენტის შემცველ საკითხებს, როგორცაა საზღვარგარეთ გახსნილი გადახდისუუნარობის წარმოების ცნობა, უცხოური საწარმოს გაკოტრება, შრომითი ურთიერთობები, უძრავ ნივთთან დაკავშირებული ხელშეკრულებები და სხვ.

ახალი კანონის შესაბამისად, 2021 წლის 30 მარტს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მიიღო ბრძანება №696, რომელიც ამტკიცებს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ავტორიზაციის, მათი ერთიანი რეესტრის წარმოების და ელექტრონული სისტემის მეშვეობით პრაქტიკოსთა შერჩევის წესსა და პირობებს, რომლითაც ასევე განისაზღვრა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ავტორიზაციისათვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, ავტორიზაციის ეტაპები, სახეები, შეწყვეტის საფუძვლები და სხვ. ბრძანება ძალაში შევიდა 2021 წლის 31 მარტს.


# საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



**გიორგი თავართქილაძე**

საგადასახადო და იურიდიული  
დეპარტამენტის დირექტორი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)



**გიორგი ხუროძე**

იურიდიული სამსახურის უფროსი  
[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)

## თბილისი

### ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული  
თბილისი, 0171,  
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

[deloitte.ge](http://deloitte.ge)

## deloitte.ge

### დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 330 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.